



სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის
კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა



MOD 5 20 00000027

11/02/2020

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში „მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და თანამდებობის დაკავების წესი“-ს დამტკიცების შესახებ

საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2010 წლის 02 აგვისტოს №515 ბრძანების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. დამტკიცდეს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში „მასწავლებლის თანამდებობაზე კონკურსის ჩატარებისა და თანამდებობის დაკავების წესი“ დანართების შესაბამისად.
2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმის 2016 წლის 22 ივლისის №MOD 1 16 00000235 ბრძანება.
3. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
4. ბრძანება დაყვანილ იქნას შემსრულებლებამდე.

ს.ს.ი.პ. გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა
სამხედრო ლიცეუმი / დირექცია
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი
შალვა ძინძიბაძე

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის

კადეტთა სამხედრო ლიცეუმის დირექტორის

2016 წლის „-----“ ----- N----- ბრძანებით

სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში მასწავლებლის კონკურსის ჩატარებისა და თანამდებობის დაკავების წესი

მუხლი 1. რეგულირების საგანი

ეს წესი განსაზღვრავს სსიპ გენერალ გიორგი კვინიტაძის სახელობის კადეტთა სამხედრო ლიცეუმში (შემდგომში - ლიცეუმი) მასწავლებლის თანამდებობის დაკავებისათვის ღია კონკურსის წესს, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპებს.

მუხლი 2. კონკურსის გამოცხადება და ჩატარება

1. კონკურსის ჩატარების თარიღი და პირობები ქვეყნდება წინამდებარე დადგენილი წესით, კონკურსის დაწყებამდე არა ნაკლებ 10 დღის ვადით.
2. განცხადება კონკურსის გამოცხადების შესახებ უნდა განთავსდეს ლიცეუმის ელექტრონულ გვერდზე, საჯარო სივრცესა და ლიცეუმის ყველასათვის თვალსაჩინო ადგილებზე, დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის მიზნით.
3. განცხადებაში აღინიშნება კონკურსანტების რეგისტრაციის დაწყების თარიღი, განცხადებების მიღების ბოლო ვადა და წარმოსადგენ დოკუმენტთა ნუსხა.
4. კონკურსის ჩატარებას უზრუნველყოფს ლიცეუმის დირექტორის მიერ ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით შექმნილი საკონკურსო კომისია.
5. კონკურსი ტარდება ორ ეტაპად: მიღებული საკვალიფიკაციო განაცხადების გადარჩევა (ქულების მინიჭება) და ზეპირი გასაუბრება, ასევე შესაძლებელია კომისიის გადაწყვეტილებით სხვა დამატებითი კრიტერიუმების დადგენაც.

მუხლი 3. შეფასება

1. კონკურსის ჩატარებისას, განაცხადის ფორმას, (დანართი №1) მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმებს, (დანართი №2) და მასწავლებლის თანამდებობაზე შესარჩევ კანდიდატთა ქულების მინიჭების განსაზღვრის ტესტს (დანართი №3) ამტკიცებს ლიცეუმის დირექტორი.

2. საკონკურსო კომისია კონკურსის ჩატარებისას ხელმძღვანელობს ზემოთმოყვანილი დანართების შესაბამისად და შესარჩევ კანდიდატთა ქულების მინიჭების განსაზღვრის ტესტის შესაბამისად ახდენს კონკურსში მონაწილე კანდიდატებისათვის ქულების მინიჭებას .

3. საკონკურსო კომისიის მიერ მინიჭებული ქულების ოდენობა, რეიტინგები და გამარჯვებულ კანდიდატთა სია აისახება შემაჯამებელ ოქმში და წარედგინება ლიცეუმის დირექტორს.

მუხლი 4. გამარჯვებული კანდიდატის დანიშვნა

1. შემაჯამებელი ოქმის საფუძველზე ლიცეუმის დირექტორი ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით საგამოცდო ვადით თანამდებობაზე ნიშნავს ყველაზე მაღალი ქულისა და რეიტინგის მქონე კანდიდატს;

2. ჩატარებული კონკურსიდან 6 თვის ვადაში იდენტური თანამდებობის ვაკანსიის არსებობისას ლიცეუმი იტოვებს უფლებას კონკურსის გარეშე მოახდინოს რეიტინგულად მდგომი მომდევნო კანდიდატის თანამდებობაზე დანიშვნა.

განაცხადის ფორმა

პირადი ინფორმაცია

სახელი:	
გვარი:	
დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):	

საკონტაქტო ინფორმაცია

მისამართი:	
ტელეფონის ნომერი:	
ელ-ფოსტა:	

ზოგადი განათლება

სკოლის დასახელება	სწავლის პერიოდი (წლები)

უმაღლესი განათლება

უნივერსიტეტის დასახელება	სწავლის პერიოდი (წლები)	მიღწეული კვალიფიკაცია, ხარისხი

პროფესიული განვითარების და პროფესიული გადამზადების კურსები:

კურსის დასახელება	ორგანიზაციის დასახელება	სწავლის პერიოდი

პედაგოგიური გამოცდილება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში

სკოლის დასახელება	სწავლების პერიოდი	საგანი (საგნები)	კლასები
სულ მასწავლებლად მუშაობის სტაჟი (წლების რაოდენობა):			

სხვა სამუშაო გამოცდილება:

დაწესებულების დასახელება	მუშაობის პერიოდი	თანამდებობა	ძირითადი მოვალეობები

დამატებითი ინფორმაცია

მასწავლებელთა შერჩევის კრიტერიუმები

შერჩევის კრიტერიუმები :

- 1) უმაღლესი განათლების ქონა (კვალიფიკაცია/ხარისხი);
- 2) მასწავლებლის სტატუსი (უფროსი/ წამყვანი/მენტორი);
- 3) სერტიფიკატები;
- 4) პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება არანაკლები 3 წლისა;
- 5) პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები;
- 6) ტრენინგები, სწავლებები;
- 7) ჯილდოები (მადლობა/წახალისება);
- 8) უწყვეტი პროფესიული სტაჟი;
- 9) პროფესიული აქტივობა.

მასწავლებლის თანამდებობაზე შესარჩევ კანდიდატთა ქულების მიწიჭების განსაზღვრის ტესტი

სახელი და გვარი:

დაბადების თარიღი და პირადი ნომერი

იურიდიული და ფაქტიური მისამართი:

კვალიპიკაცია/ნარისხი		მასწავლებლის სტატუსი		სერთიფიკაციები		პედაგოგიური მუშაობის გამოცდილება		პროფესიული განვითარებისა და გადამზადების კურსები		ტრენინგები სწავლებები		ჯილდოები - მადლობა/წახალისება		პროფესიული უწყვეტი სტაჟი		პროფესიული აქტივობები		ქულათა ჯამი
ბაკალავრი	3 ქულა	უფროსი მასწ.	3 ქულა	3-დან 6-მდე	2 ქულა	10 წლამდე	4 ქულა	3-დან 6-მდე	2 ქულა	3-დან 6-მდე	2 ქულა	3-დან 6-მდე	2 ქულა	10 წლამდე	4 ქულა	ნაშრომები	2 ქულა	
	მაგისტრი	4 ქულა	წამყვ. მასწ.	5 ქულა	6 და მეტი	4 ქულა	10 წლის ზემოთ	5 ქულა	6 და მეტი	4 ქულა	6 და მეტი	4 ქულა	6 და მეტი	4 ქულა	10 წლის ზემოთ	5 ქულა	სახელმძღვანელობი	
დოქტორი	5 ქულა	მენტორი მასწ.	6 ქულა	8 და მეტი	6 ქულა	10 წლის ზემოთ	6 ქულა	8 და მეტი	7 ქულა	8 და მეტი	7 ქულა	8 და მეტი	5 ქულა	10 წლის ზემოთ	6 ქულა	სახელმძღვანელოები	4 ქულა	



ხელმოწერა

თარიღი